ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №7289275

ნომერი: AR11060808

თარიღი : 07.10.2024

გაცემის თარიღი : 15.11.2024

გაცნობის თარიღი : 16.11.2024

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი, ცაცხვების V შესახვევი, N 18;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ლევან ჯამაგიძე პ/ნ 01025015719
- თბილისი, ვაშლიჯვარი 2 ზონა კორ 2 ბ. 48

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ტექნიკური ხარვეზის გასწორება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

ვბრძანებ

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2024 წლის 16 სექტემბრის №7218421 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების თაობაზე
ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2024 წლის 7 ოქტომბრის №AR11060808 განცხადებით მომართა ლევან ჯამაგიძემ და მოითხოვა სამსახურის 2024 წლის 16

სექტემბრის №7218421 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორება ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებთან დაკავშირებით.
სამსახურმა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, შეისწავლა საქმისთვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ სამსახურის 2024 წლის 16 სექტემბრის №7218421 ბრძანებით, №01.10.18.009.121 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე, შეთანხმდა მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის კორექტირებული არქიტექტურული პროექტი და გაიცა მშენებლობის ნებართვა. მშენებლობის ვადა განისაზღვრა 2024 წლის 16 სექტემბრიდან 2025 წლის 16 მარტის ჩათვლით.
განმცხადებლის განმარტების თანახმად, სამსახურის 2024 წლის 16 სექტემბრის №7218421 ბრძანებაში არასწორად აისახა ტექნიკურ – ეკონომიკური მაჩვენებლები და შესაბამისად, ითხოვს ტექნიკური შეცდომის გასწორებას და ტექნიკურ–ეკონომიკურ მაჩვენებლებიდან მანსარდის 11.75 კვ.მ. ფართობის ამოღებას. ამასთან, ტექნიკურ–ეკონომიკურ მაჩვენებლებში გამორჩენილი დამხმარე 30.2 კვ.მ. ფართობის დამატებას. ხოლო, საცხოვრებელ ფართობად 889.16 კვ.მ-ის ნაცვლად 840.86 კვ.მ-ის, საზაფხულო ფართობად 421.81 კვ.მ-ის ნაცვლად 83.27 კვ.მ-ის, კიბის უჯრედისა და სადარბაზოს ფართობად 108.5 კვ.მ-ის ნაცვლად 125.62 კვ.მ-ის, ავტოსადგომის ფართობად 229.22 კვ.მ-ის ნაცვლად 210.79 კვ.მ-ის, ხოლო საერთო ფართობად 1660.44 კვ.მ-ის ნაცვლად 1289.74 კვ.მ-ის დაფიქსირებას.
სამსახურმა, განმცხადებლის მიერ წარმოდგენილი გასწორებული გეგმები და ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლები შეადარა შეთანხმებულს და დაადგინა, რომ საპროექტო დოკუმენტაციაში არასწორად იქნა წარმოდგენილი ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლები ფართობების არასწორი დაჯამების გამო. აღსანიშნავია, რომ მთლიანი საპროექტო შენობა-ნაგებობის საერთო ფართობი შეადგენს არა 1289.74 კვ.მ-ს, როგორც მოთხოვნის ტექსტშია დაფიქსირებული, არამედ 1290.74 კვ.მ-ს. ამასთან, შეთანხმებული გეგმები არ იცვლება, უბრალოდ ხდება წარმოდგენილ გეგმებზე ფართობების დაზუსტება.
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია მის მიერ გამოცემულ ადმინისტრაციულ აქტში გაასწოროს ტექნიკური, აგრეთვე გამოთვლის დროს დაშვებული შეცდომები.
ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სამსახურმა მიზანშეწონილად მიიჩნია განმცხადებლის მოთხოვნის დაკმაყოფილება, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2024 წლის 16 სექტემბრის №7218421 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების თაობაზე.
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლის თანახმად,
ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:
1. გასწორდეს ტექნიკური შეცდომა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2024 წლის 16 სექტემბრის №7218421 ბრძანებაში და ტექნიკურ–ეკონომიკურ მაჩვენებლებიდან ამოღებულ იქნეს მანსარდის 11.75 კვ.მ. ფართობი. ამასთან, ტექნიკურ–ეკონომიკურ მაჩვენებლებში დაემატოს გამორჩენილი დამხმარე 30.2 კვ.მ. ფართობი. ხოლო, საცხოვრებელ ფართობად დაფიქსირდეს 840.86 კვ.მ., საზაფხულო ფართობად - 83.27 კვ.მ., კიბის უჯრედისა და სადარბაზოს ფართობად - 125.62 კვ.მ., ავტოსადგომის ფართობად - 210.79 კვ.მ., საერთო ფართობად - 1290.74 კვ.მ.
2. სამსახურის 2024 წლის 16 სექტემბრის №7218421 ბრძანებით შეთანხმებული გეგმები ჩანაცვლდეს წინამდებარე განცხადებაზე ფაილის მიმაგრების ველით წარმოდგენილი გასწორებული გეგმებით.
3. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2024 წლის 16 სექტემბრის №7218421 ბრძანება დანარჩენ ნაწილში დარჩეს უცვლელი.
4. წინამდებარე ბრძანება განხილულ იქნეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2024 წლის 16 სექტემბრის №7218421 ბრძანებასთან ერთად.
5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან, (მის.: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა №7) კანონმდებლობით დადგენილი წესით, აქტის ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.